

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი

13.02.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:*

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე; თინათინ ბოჭორიშვილი - შპს - "სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის" რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;

რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

ქეთევან ცხადაძე - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი;

ქეთევან კოტეტიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორი;

მარინა გედევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დალი კანდელაკი - სსიპ - იავნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსი;

კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გიორგი გვალია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;

თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;

გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი;

პაატა შურღაია - შპს "გრანთ თორნთონის ბიზნეს პროცესების" გადაწყვეტილების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:*

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო ხითარიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების კოორდინატორი;

ნინო მეგრელი - კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი:

ლალი ხვედელიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი;

გელა გვარიშვილი - რექტორის მოადგილე;

ნათია მიქელთაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მზევიანარ ძირკვაძე - პროფესიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე;

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):**

ია მოსაშვილი;

გიგა ხოსიტაშვილი;

ნინო ამირანაშვილი.

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:**

ქეთევან ზოტკოველი;

ნინო ამირანაშვილი.

**სხვა დამსწრე პირები:**

ლელა მაისურაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, საბჭოს მოწვეული წევრი;

შორენა ხუბუნაია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, საბჭოს მოწვეული წევრი;

ნანა როსტომაშვილი - კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის წარმომადგენელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:00 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სითითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.



საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, ვინაიდან საბჭო განიხილავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხსაც, ავტორიზაციის დებულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული ორი პირი - ლელა მაისურაძე და შორენა ხუბუნაია. ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. არცერთ მხარეს არ დაუყენებია წინადადება დღის წესრიგთან დაკავშირებით. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.



## 1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მოკლე მიმოხილვა საბჭოს წინაშე Skype-ის მეშვეობით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, იანუშ ურიაშმა. მან განმარტა, რომ შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის არსებობა მნიშვნელოვანი იყო ამ რეგიონისათვის. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი შთაბეჭდილება და მთლიანად ჯგუფის შთაბეჭდილება უნივერსიტეტთან დაკავშირებით მთლიანობაში იყო პოზიტიური. მან იმედი გამოთქვა, რომ საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს ექსპერტთა ჯგუფის ადგილობრივი წევრები დეტალურად გააცნობდნენ დასკვნის შინაარსს და მათ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭოს სხდომაზე დამსწრე ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს ცალკეულ სტანდარტებზე და საბჭოს წინაშე წარადგინეს მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

### სტანდარტი 1:

- ინტერნაციონალიზაციის მისიის გაძლიერება განსაზღვრული მიზნების შესაბამისად;
- სამოქმედო გეგმა უნდა შემცირდეს რეალისტურ ზომებამდე და შეესაბამებოდეს ხელმისაწვდომ რესურსებს.

### სტანდარტი 2:

- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა შექმნას სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ეყოლება საკმარისი რაოდენობის თანამშრომელი და იმუშავებს მხოლოდ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით;
- ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტმა უნდა დაამატოს კიდევ ერთი თანამშრომელი, რომელიც ჩართული იქნება არა-დასაქმებული სტუდენტების პრაქტიკასა და დასაქმებაში ან ამ სერვისისთვის შეირჩეს არსებული თანამშრომელი, რომელიც შეასრულებს ყველა იმ მოვალეობას, რომელიც დაკისრებული იქნება შესაბამისი ერთეულის დებულების მიხედვით;
- ბნსუ-ს მასშტაბით უნდა გაუმჯობესდეს ინგლისური ენის ცოდნის დონე;
- აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემისთვის საჭიროა მეტი განვითარება PDCA ციკლის მიხედვით;

- მეტი განვითარებაა საჭირო სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის კუთხით, გასათვალისწინებელია უმაღლესი განათლების პროგრამების სხვადასხვა მახასიათებლები/საჭიროებები მათი საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და სწავლის სფეროს შესაბამისად;
- ბნსუ-მ უნდა გამოყოს საკმარისი ადამიანური და ინფორმაციული რესურსი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურად განსახორციელებლად;
- ბნსუ-მ უნდა გადახედოს ხარისხის უზრუნველყოფისა და QSM სერვისების მარეგულირებელ დოკუმენტებს, რათა თავიდან აიცილოს თანამშრომლების პასუხისმგებლობათა ურთიერთგადაკვეთა;
- უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს მექანიზმები პლაგიატის აღმოსაჩენად;
- ყველა სტუდენტს მათი ჩარიცხვისთანავე უნდა მიეცეს მკაფიო დარიგება პლაგიატის თაობაზე. ბნსუ-მ ასევე, უნდა მიიღოს რიგი ალტერნატიული მექანიზმებისა სტუდენტთა ინფორმირებისათვის ინსტიტუციის პოლიტიკაზე პლაგიატთან დაკავშირებით და მის შედეგებზე;
- ბნსუ-ს პლაგიატიზმის პროცედურები უნდა უყოს მკაცრად კონტროლირებადი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი წარმოადგენენ პლაგიატიზმის გამოვლენისა და აღკვეთის აქტიურ და ეფექტიან საშუალებას;

### სტანდარტი 3:

- გამოიყენეთ ეფექტური და მრავალფეროვანი მეთოდები, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარებისთვის სპეციალურად განსაზღვრული შეფასების სისტემის შესამუშავებლად;
- უფრო დეტალურად გაწერეთ შეფასების კრიტერიუმები, სადაც მითითებული იქნება აქტივობები და მათი შესაბამისი შეფასებები;

### სტანდარტი 4:

- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა უნდა შეასულოს აუცილებელი საქმიანობები პერსონალის შესაფასებლად და შედეგები წარუდგინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რათა განიხილოს ხელმძღვანელობასთან, რომელიც მიიღებს საჭირო გადაწყვეტილებებს;
- ბნსუ-ს პედაგოგიური პერსონალის შესახებ სტუდენტების მოსაზრების მოსაპოვებლად, აკადემიური წლის დასასრულს უნდა შეგროვდეს სტუდენტების უკუკავშირი;
- უნივერსიტეტმა უნდა მოიწვიოს მოქმედი მეზღვაურები, რომლებიც სტუდენტებს გაუზიარებენ თავის გამოცდილებას, გამოწვევებსა და მოწყობილობებს. ეს სტუდენტებისთვის მოტივაციის მიმცემი იქნება;
- ერთი თანამშრომელი მაინც უნდა აიყვანოთ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში.

### სტანდარტი 5:

- პრაქტიკისა და დასაქმები სამსახური ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბნსუ-ში მოქმედი ყველა პროგრამის სტუდენტისთვის;
- ბნსუ-მ უნდა შექმნას კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა და თვალი ადევნოს მათ კარიერას.

### სტანდარტი 6:

- მონაწილეობის მიღება საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით აქტივობებში.

- კვლევის შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და სასწავლო საქმიანობაში.
- ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის დამყარება მათთან კვლევითი მიღწევების გაზიარების მიზნით.
- კვლევითი სამუშაოების აქტიურად განხორციელება.
- პროფესიულ ფორუმებსა და ბლოგებში მონაწილეობის მიღება.
- კვლევით სამუშაოებში სტუდენტების ჩართვა.
- საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი საზოგადოებების ჩართვა.
- საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების განვითარებაზე ზრუნვა და მათი მართვა.
- საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიღება.
- საერთაშორისო დონეზე კვლევის მხარდაჭერა და ეფექტური სისტემის განვითარება.
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების ზრდა და მათი მხარდაჭერა.
- კვლევით საქმიანობაში ახალი პერსონალის მოსაზიდად და მხარდასაჭერად ეფექტური სისტემის შექმნა.
- პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის გამოყენება.
- კვლევით სამუშაოებსა და აქტივობებში სტუდენტების ჩართვა.
- ანგარიშების გამოქვეყნება განხორციელებული კვლევითი საქმიანობების შესახებ.
- კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარების გეგმაში შეფასების შედეგების ასახვა.

#### სტანდარტი 7:

- სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოწერა უნდა მოხდეს უნივერსიტეტის პროფილის გათვალისწინებით.
- ბიბლიოთეკის პერსონალმა უნდა ჩაატაროს რეგულარული ტრენინგები როგორც ფაკულტეტის წევრების, ასევე სტუდენტებისთვის, რათა ხელი შეუწყოს მათ მიერ მონაცემთა ბაზების მოხმარებას.
- ბიბლიოთეკის პერსონალმა უნდა განსაზღვროს თავისი როლი სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებში, აკადემიური ერთიანობის თვალსაზრისით.
- წიგნების განლაგება უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა გაიზარდოს მათზე ხელმისაწვდომობა.
- ბიბლიოთეკის პერსონალმა მხარი უნდა დაუჭიროს ფაკულტეტის წევრებს რიდერების მომზადებაში, აუხსნას მათ ციტირებისა და რეფერირების მთავარი წესები.
- ბიბლიოთეკარებმა უნდა განაახლონ თავიანთი პროფესიული უნარები რეგულარულად, ეს შესაძლებელია მობილობის პროგრამებით, რომელთა განვითარებასაც უნივერსიტეტი უახლოეს წლებში გეგმავს.
- ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს მიმდინარე კვლევითი აქტივობების შესაბამისად, პრიორიტიზირება უნდა მოხდეს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების პროგრამებით.

ექსპერტების მიერ რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა რამდენად იყო შესაძლებელი საკმაოდ ამბიციური სტრატეგიული გეგმის და მისიის შესრულება და ჰქონდა თუ არა ამისათვის საჭირო რესურსი დაწესებულებას. დაწესებულების კანცლერმა განმარტა, რომ სტრატეგიული გეგმა მართლაც საკმაოდ ამბიციური იყო, თუმცა ისინი დარწმუნებულები იყვნენ, გეგმით გათვალისწინებული მიზნები ეტაპობრივად, სწორი და მიზანმიმართული ნაბიჯებით მიღწევადი იქნებოდა მომდევნო 7 წლის განმავლობაში. საბჭოს წევრის ლევან იმნაიშვილის კითხვაზე, თუ როგორ წარმოედგინა დაწესებულებას 7 წლიან პერიოდში მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგების მიღწევა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მართალია მათი ახალი სტრატეგიული გეგმა დიდი გამოწვევა იყო უნივერსიტეტისთვის, თუმცა ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გეგმაში მითითებული ყველა მიზანი განხორციელებადი იყო.

საბჭოს წევრის ქეთევან ცხადაძის კითხვაზე, რამდენად იყო დაწესებულების პერსონალი და სტუდენტები სტრატეგიული გეგმისა და მისიის შემუშავების პროცესში ჩართულნი, და რომელი მეთოდოლოგია ჰქონდათ ამ პროცესში გამოყენებული, ექსპერტმა ია მოსაშვილმა განმარტა, რომ პერსონალთან ინტერვიუებისას ნათელი გახდა, რომ პერსონალი და სტუდენტები ჩართულნი იყვნენ ამ პროცესში და რომ ისინი ასახელებდნენ კონკრეტულ აქტივობებს, რაც ადასტურებდა ამ პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ თუ არა დამსაქმებლები, მაგალითად ფოთის და ყულევის ნავსადგურის წარმომადგენლები. დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია მიქელთაძემ განმარტა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში იყვნენ ჩართულნი ის დამსაქმებლები, რომლებიც არიან მათი კურსდამთავრებულების ძირითადი დამსაქმებლები, ხოლო ფოთისა და ყულევის ნავსადგურები ამ მხრივ არ იყვნენ მათი პარტნიორები, თუმცა, ფოთის პორტთან მათ ლოჯისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად ჰქონდათ თანამშრომლობა და სამომავლოდ მათთან ურთიერთობის გაღრმავებაზე აქტიურად იმუშავებდნენ.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა, თვითშეფასების ანგარიშის შედეგის პროცესში მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე იყო ჩართული თუ სხვა სტუდენტებიც, მაგალითად წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი სტუდენტები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ თვითშეფასების შედეგაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სტუდენტები, ხოლო სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე რექტორის ბრძანებით შეყვანილი იყო თვითშეფასების ჯგუფში, რის გამოც ის შესაძლოა დომინირებდეს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს განმარტათ, სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებაში მითითებული იყო თუ არა ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ასეთი ინფორმაცია მითითებული იყო და მე-7 სტანდარტთან მიმართებაში, უფრო დეტალურად მოახდენდნენ ამ საკითხების განმარტებას.

საბჭოს წევრის, გიორგი გვალის კითხვაზე თუ რა შემთხვევაში ჩათვლიდა უნივერსიტეტი, რომ მისიაში განცხადებული მისწრაფება, რეგიონში ლიდერის პოზიციის დაკავებასთან დაკავშირებით მიღწეული იყო, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მათ მიერ სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების განსაზღვრულ ვადებში, ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწევადობა საბოლოო ჯამში მათ დასახულ ძირითად მიზანთან - რეგიონში ლიდერის პოზიციის მოპოვებასთან მიიყვანდა უნივერსიტეტს. აღნიშნულთან დაწესებულების დაკავშირებით კანცლერმა დაამატა, რომ უნივერსიტეტი სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე შუალედური შედეგების შეფასებების მიზნით გეგმავდა გარე და შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებას, დამსაქმებლებთან შეხვედრებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ანალიზს და სხვა, რითაც საბოლოო ჯამში მოხდებოდა სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნის მიღწევის მონიტორინგი.

საბჭოს წევრი, ქეთევან კოტეტიშვილი, დაინტერესდა საზღვაო აკადემიასთან ჰქონდა თუ არა თანამშრომლობითი ურთიერთობა დაწესებულებას, ვინაიდან მათ ჰქონდათ საერთო ინტერესები და ახორციელებდნენ მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების კანცლერმა განმარტა, რომ საზღვაო აკადემია მათი კონკურენტი უნივერსიტეტი იყო, თუმცა გარკვეული სახის თანამშრომლობა არსებობდა. საბჭოს წევრმა თამარ იოსელიანმა განმარტა, რომ ვინაიდან საზღვაო სფეროს პროგრამებს ძირითადად ერთი კონვენცია და კანონი არეგულირებდა, პროგრამებს შორის მსგავსება განპირობებული იყო ამ გარემოებით.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, თუ რომელი რესურსი იგულისხმებებოდა ექსპერტთა რეკომენდაციაში, რომ სამოქმედო გეგმა უნდა შემცირდეს რეალისტურ ზომებამდე და შეესაბამებოდეს ხელმისაწვდომ რესურსებს, ადამიანური თუ მატერიალური რესურსი. ამასთან დაკავშირებით ექსპერტებმა განმარტეს, რომ გულისხმობდნენ ადამიანურ რესურსს და არა მატერიალურ რესურსებს, ვინაიდან დაწესებულებას ჰქონდა საკმაოდ ამბიციური მიზანი საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრების, ხოლო ამისათვის არ იყო სათანადო ადამიანური რესურსი, ასევე პრობლემას წარმოადგენდა ინგლისური ენის ფლობის საკითხი მთლიანად უნივერსიტეტის მასშტაბით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერს, ჰქონდათ თუ არა სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური მონიტორინგის მიმართულებით რაიმე ღონისძიებები ამ დროისათვის გატარებული ან რას გეგმავდნენ ამ მიზნით სამომავლოდ, რაზეც კანცლერმა განმარტა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსთვის გეგმავდნენ წლიური სამუშაო გეგმის შეფასებას, დამსაქმებლების, პარტნიორების და კურსდამთავრებულების ჩართულობით სამუშაო ჯგუფის ფორმატში, ასევე დაწესებულებას ჰქონდა ყოველწლიური სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც მუშაობდნენ და არ შეჩერებულან არცერთი დღე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით ამ სტადარტში დაწესებულების სუსტი მხარეები ძირითადად გამოვლენილი იყო ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, პერსონალის მიერ ინგლისური ენის ფლობის დაბალი დონისა და აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მექანიზმების არარსებობის კუთხით.

ასევე, დაკავშირებით ექსპერტებმა განმარტეს, რომ დაწესებულებას არ გააჩნდა პლაგიატის დასადგენი პროგრამა, ამასთან აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუებისას აჩვენა, რომ ისინი არ იყვნენ ინფორმირებულები თუ რა შესაძლო შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა მათი მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევას, თუმცა დაწესებულებას ეთიკის კოდექსში ჰქონდა შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციები. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მართალია დაწესებულებას ამ დროისთვის არ ჰქონდა პლაგიატის აღმოჩენი პროგრამა, მაგრამ დაწესებულება აპელირებდა აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვაზე, რომ თავად მათ დაიცვან ეს ვალდებულებები, ამასთან სტუდენტები პირველ კურსზე სწავლობდნენ წერითი და ვერბალური კომუნიკაციის სასწავლო კურსში დეტალურად ამ პრინციპებს და შესაბამისად ისინი ინფორმირებულნი იყვნენ პლაგიატის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებზე. ამასთან დაწესებულება მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის აპირებდა პროგრამის შესყიდვას, რაც ამ დრომდე ფინანსური პრობლემების გამო ვერ მოხერხდა. ექსპერტმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფურცელზე, ფორმალურად დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა გარკვეული რეგულაციები და წესები პლაგიატთან მიმართებაში, ინტერვიუებისას ვერც აკადემიური პერსონალი და ვერც სტუდენტები ვერ აყალიბებდნენ პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში რა მოსალოდნელი სანქციები შეიძლებოდა დაკისრებოდათ, ამდენად ექსპერტებმა შეიმუშავეს ზემოაღნიშნული რეკომენდაციები და კიდევ ერთხელ განმარტეს, რომ ეს ნამდვილად იყო დაწესებულების სუსტი მხარე, რაშიც თავად დაწესებულება ეთანხმებოდა კიდევ ექსპერტებს.

საბჭოს წევრი გიორგი გვალია დაინტერესდა თუ რა სანქციები იყო დაწესებულების ეთიკის კოდექსში გათვალისწინებული პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა ზუსტად ვერ განმარტეს ეს სანქციები, მაგრამ ახსნეს, რომ ეს სანქციები გათვალისწინებული იყო, როგორც აკადემიური პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისათვის.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით, რატომ არ შეიძინეს ეს პროგრამა ექსპერტების ვიზიტის შემდეგ, ანუ როცა ეს პრობლემა მათთვის ცნობილი გახდა, რა იყო ამის მიზეზი. კანცლერმა, განმარტა, რომ ამის მიზეზი ძირითადად ფინანსური პრობლემა იყო, ვინაიდან უნივერსიტეტს ამ პერიოდში ჰქონდა ავტორიზაციის, აკრედიტაციის პერიოდი, რაც გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამ პროგრამისთვის თანხების მობილიზება გაუჭირდათ, ასევე იყვნენ გარკვევის პროცესში, თუ რომელი პროგრამა უფრო ეფექტური იყო ქართული ტექსტების ამოცნობაში, თუმცა ამასთანავე გეგმავდნენ პირველივე სამაგისტრო ნაშრომები დაცვამდე ამ პროგრამის შეძენას და მომზადებული სამაგისტრო ნაშრომების შემოწმებას.

საბჭოს წევრი, ქეთევან კოტეტიშვილი, დაინტერესდა ეთიკის კომისიას ჰქონდა თუ არა რაიმე პრაქტიკა აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტთან დაკავშირებით, ექსპერტებმა განმარტეს, რომ მსგავსი ინფორმაცია მათაც მოიკითხეს, თუმცა დაწესებულებას ასეთი პრაქტიკა არ ჰქონდა ბოლო წლების განმავლობაში დაგროვილი.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, რომელ ენაზე სწავლობდა ქართულ - უკრაინულ ერთობლივ პროგრამაზე ჩარიცხული 9 უცხოელი სტუდენტი. კანცლერის განმარტებით სწავლების ენა იყო ქართული, ხოლო უკრაინაში სტუდენტები სწავლობდნენ რუსულ ენაზე. მარინა გედევანიშვილის

კითხვაზე, თუ რა ფორმით მიმდინარეობდა უცხოელების სწავლება და რატომ არ იყო ეს დეტალურად აღწერილი პროგრამაში, კანცლერმა განმარტა, რომ ეს პროგრამაში აღწერილი არ იყო, მაგრამ უცხოელ სტუდენტებს ერთი წლის განმავლობაში ასწავლიდნენ ქართულს, ხოლო შემდეგ სწავლას აგრძელებდნენ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს კითხვით, თუ რა რეგულაციები იყო გაწერილი ამ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში, როგორ ხდებოდა სტუდენტის ენის დონის შემოწმება, იყო თუ არა განსაზღვრული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მაგალითად ენის ცოდნა და სხვა. ექსპერტების განმარტებით, ვიზიტის დროს ეს კითხვები დაუსვეს დაწესებულებას, თუმცა პასუხად მიიღეს, რომ ამ პროგრამაზე მხოლოდ ერთი უკრაინის მოქალაქე, ეთნიკურად ქართველი სტუდენტი სწვლობდა და ენის პრობლემა არ ჰქონდა, ხოლო დანარჩენ სტუდენტებს სტატუსი ჰქონდათ შეჩერებული ვიზიტის პერიოდში. ექსპერტებმა, ასევე განმარტეს, რომ ერთობლივ პროგრამასთან დაკავშირებული რეგულაციები მათ ვერ ნახეს დაწესებულებაში ვიზიტის დროს. ამასთან საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებდა დაშვების წინაპირობად ქართული ენის ცოდნას. დაწესებულების წარმომადგენლებმა ზუსტად ვერ განმარტეს ის პროცედურები, რომლის დაცვითაც ხდება ერთობლივ პროგრამებზე სტუდენტის ჩარიცხვა, თუმცა დასძინეს, რომ ეს პროგრამა აკრედიტებულია.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი, ასევე დაინტერესდა, რამდენად შეისწავლეს ექსპერტებმა უცხოელი სტუდენტების პირადი საქმეები. ექსპერტებს ვიზიტის დროს უცხოელი სტუდენტების პირადი საქმეები არ ჰქონდათ შესწავლილი.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, განემარტათ ჰქონდათ თუ არა კანონით გათვალისწინებული მართვის ორგანოები, რადგან დაწესებულების საიტზე ეს ინფორმაცია არ იკითხებოდა და ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ხარისხის მენეჯერის ფუნქციები ხომ არ იყო თანხვედრაში ერთმანეთთან. აღნიშნულთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნათია მიქელთაძემ განმარტა, რომ დაწესებულება, როგორც მეწარმე სუბიექტი ISO სერთიფიკატს ფლობდა 2002 წლიდან და მას ჰყავდა შესაბამისი ხარისხის მენეჯერი, თუმცა ისინი გეგმავდნენ და ეს საქმე რეალურად უკვე დაწყებული ჰქონდათ, რომ ეს ორი სამსახური გაერთიანებულიყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და მათი ფუნქცია-მოვალეობებიც გაერთიანებინათ.

საბჭოს წევრის მარინა გედევანიშვილის თქმით, ბიზნესუწყვეტობის გეგმის მოსალოდნელ შედეგებში ჩანაწერი „მატერიალური რესურსების მიღება“, იკითხებოდა ისე თითქოს დაწესებულებას მატერიალური რესურსები არ ჰქონდა და სამომავლოდ გეგმავდა მათ მიღებას, თუ ეს ჩანაწერი სხვა შინაარსის მატარებელი იყო, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ნამდვილად გააჩნდათ საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად ყველა აუცილებელი რესურსი, თუმცა ამ მიმართულებითაც ისინი გეგმავდნენ სამომავლოდ დამატებითი რესურსების შეძენას. მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, რას ნიშნავდა ჩანაწერი „გამოკითხული სტუდენტების 75% უარყოფითად აფასებს უცხოელი სტუდენტების და პროფესორების ჩართულობას“?, ამაზე პასუხად, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას

რეალურად მწირი უცხოელი კოლეგების ჩართულობა ჰქონდა სასწავლო პროცესში, რამაც განაპირობა გამოკითხვის ამგვარი შედეგები.

საბჭოს წევრის, გიორგი აბრამიშვილის, კითხვაზე, როგორც ISO სერთიფიკატის მფლობელი ორგანიზაცია, აწარმოებდნენ თუ არა შიდა აუდიტირებას და საზედამხედველო შეფასებებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი კომპანია 2002 წლიდან ფლობდა ISO სერთიფიკატს და შესაბამისად ყველა კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს იცავდნენ ზედმიწევნით.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა, ექსპერტებს სთხოვა განემარტათ საბჭოსთვის თუ როგორი იყო დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების წესი, რაზეც ექსპერტებმა განმარტეს, რომ შეფასების წესი ყველა პროგრამაზე ერთგვაროვანი იყო და გაწერილი იყო სილაბუსებში, ამასთან მათთვის ცნობილი გახდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შეფასების ახალი სისტემა, რომლის დანერგვასაც გეგმავდნენ მომდევნო ახალი სასწავლო სემესტრიდან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას პროგრამის შედგენის წესი შემუშავებული, დამტკიცებული იყო თუ არა პროგრამის/სილაბუსის ფორმები და იცავდა თუ არა დაწესებულება დადგენილ წესებს. ექსპერტმა, ია მოსაშვილმა, ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პროგრამის და სილაბუსის შემუშავების წესები, მათ ვიზიტის დროს ნახეს შესაბამისი შევსებული ფორმები.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში პროცედურის მიხედვით მოწმდებოდა თუ არა ე.წ. სასერტიფიკაციო კურსები და ვისთვის იყო ეს კურსები განკუთვნილი. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მოკლევადიანი სასერტიფიკაციო კურსების მსმენელები ძირითადად მათი კურსდამთავრებულები იყვნენ, კურსებს ამზადებდა დაწესებულება და ათანხმებდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან, მათთან შეთანხმების გარეშე ამ კურსების განხორციელება არ ხდებოდა. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა საბჭოს წევრმა, თამარ იოსელიანმა.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს თუ როგორ ახდენდნენ სწავლა/სწავლების პროცესის შეფასებას და მონიტორინგს, რის პასუხადაც ნათია მიქელთაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას დანერგილი ჰქონდა მონიტორინგის სისტემა, ასევე იყენებდნენ პერსონალისა და სტუდენტის გამოკითხვის მეთოდებს.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:45 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 19:15 საათზე.

საბჭომ მსჯელობა განაახლა მეოთხე სტანდარტიდან, ექსპერტებმა მოკლე მიმოხილვა გააკეთეს სტანდარტის შეფასებასთან დაკავშირებით და განმარტეს, რომ ამ სტანდარტში მათი ძირითადი რეკომენდაცია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის გაძლიერება იყო. ასევე, უფრო მეტად უნდა მომხდარიყო პრაქტიკოსი მეზღვაურების მოწვევა და ჩართვა სასწავლო პროცესში, რათა უფრო საინტერესო და ინფორმატიული ყოფილიყო სტუდენტებისათვის სწავლის პროცესი. საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინათ რამდენად იცნობდა პერსონალი მათ უფლება-

მოვალეობებს დებულებების მიხედვით და იყვნენ თუ არა კომპეტენტურები. ექსპერტმა განმარტა, რომ პერსონალი ძირითადად კარგად ერკვეოდა მათ უფლებამოვალეობებში, თუმცა იყო ახალი შექმნილი სამსახური, სტუდენტების დასაქმების, მხარდაჭერის სამსახური, რომლის უფროსი კარგად ვერ ერკვეოდა სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებში. ამასთან, HR მენეჯერი ითავსებდა საქმეთა მმართველის ფუნქციებს, სწორედ ამიტომ ექსპერტთა რეკომენდაცია იყო HR მენეჯერის გაძლიერება და ამ მიმართულებით უფრო აქტიური მუშაობა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ცხადაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულება საკუთარ ერთ-ერთ სუსტ მხარედ ასახელებდა ახალგაზრდა ლექტორების სიმცირეს, შესაბამისად დაინტერესდა იყო ეს ასაკობრივი ზღვარი თუ იყო მიზნული კვალიფიკაციაზე. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ეს იყო ასაკობრივი ზღვარი, მათ მართლაც ჰქონდათ ახალგაზრდა სპეციალისტების ჩართულობის პრობლემა, ამას მრავალი მიზეზი განაპირობებდა, ძირითადად ის, რომ ახალგაზრდა მეზღვაურები ძირითადად შორეულ ნაოსნობაში მიდიოდნენ და მათთვის ანაზღაურებისა და დროის თვალსაზრისით არ იყო საინტერესო აკადემიური მოღვაწეობა, ასევე მეზღვაურებს პრაქტიკულ საქმიანობაში სავსებით აკმაყოფილებდათ ბაკალავრის ხარისხი, მაშინ როცა აკადემიური საქმიანობისათვის უმაღლესი განათლების მე-2 და მე-3 საფეხურის დიპლომი მოეთხოვებათ. ამდენად ისინი განიცდიდნენ მწვავედ ამ პრობლემას, თუმცა ცდილობდნენ მოკლე ვადიანი კონტრაქტებით, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მეზღვაურები ხმელეთზე იყვნენ მიიწვიონ უნივერსიტეტში რათა მათი გამოცდილება გაუზიარონ სტუდენტებს. დაწესებულების კანცლერმა განმარტა, რომ ისინი უფინანსებენ დოქტურანტურაში სწავლის საფასურს ახალგაზრდა მეზღვაურებს, რაც მათი მოტივაციის ამაღლებისათვის მიმართული ღონისძიება იყო.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, რომლის გავლის შემდეგაც პროფესორი 10 წლით იკავებდა თანამდებობას, რატომ არ მოითხოვდა დაწესებულება მათ სამეცნიერო ხედვის კონცეფციას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მათ არ ჰქონდათ ასეთი საკონკურსო მოთხოვნა, თუმცა საინტერესო იქნებოდა ამ მოთხოვნის შემოღება და სამომავლოდ იფიქრებდნენ ამ საკითხზე.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს აკადემიური პერსონალის აფილირება გადაამოწმეს თუ არა დაწესებულებების რეესტრში, ექსპერტებმა დაადასტურეს გადაამოწმების ფაქტი და განმარტეს, რომ ამ მხრივ მათ შენიშვნები არ ჰქონდათ.

მეხუთე სტანდარტთან მიმართებაში ექსპერტმა გიგა ხოსიტაშვილმა გააკეთა მოკლე მიმოხილვა და განმარტა, რომ დაწესებულებას დანერგილი ჰქონდა სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებები, ასევე ახლადშექმნილი იყო სტუდენტების დასაქმების სამსახური, თუმცა სამსახური მხოლოდ ერთი ფაკულტეტის კურსდამთავრებულების, მეზღვაურების დასაქმებაზე იყო ორიენტირებული და ყურადღების მიღმა რჩებოდა მეორე ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, დაწესებულება გარკვეულწილად ახორციელებდა კურსდამთავრებულების დასაქმების მონიტორინგს, თუმცა არ არსებობდა ბაზა სადაც ამ მონაცემების ნახვა იყო შესაძლებელი.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა, დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა გაეკეთებინათ განმარტება, თუ რატომ იყო ასეთი დიდი რაოდენობა სტატუსშეჩერებული სტუდენტების, დაწესებულებას სულ 519 სტუდენტი ჰყავდა, აქედან აქტიური სტატუსის 376 სტუდენტს, ხოლო 143 იყო სტატუს შეჩერებული, რა იყო ამის მიზეზი, ფინანსური პრობლემა თუ სხვა მიზეზები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ამის მიზეზი ძირითადად დაკავშირებული იყო სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის გავლასთან, სტუდენტი ერთი სემესტრის განმავლობაში ვალდებული იყო გაეწყო პრაქტიკა ღია ზღვაში, ერთდროულად 20-30 სტუდენტი ვერ გადოდა პრაქტიკას, შესაბამისი რესურსის არარსებობის გამო. ამდენად, სტუდენტები პირადი კავშირებით ან დაწესებულების დახმარებით ეტაპობრივად მიდიან პრაქტიკაზე, ფაქტობრივად მუშაობდნენ და პრაქტიკის 6 თვიანი ვადის შესრულების შემდეგ უნივერსიტეტს წარუდგენდა შესაბამის ცნობას, უნივერსიტეტი უღიარებდა და ყველა სხვა სასწავლო კომპონენტის შესრულების შემდგომ ანიჭებდა ბაკალავრის ხარისხს. ეს გარემოებები განაპირობებდა სტატუს შეჩერებული სტუდენტების მაღალ რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულებას ჰქონდა თუ არა ელექტრონული პლატფორმა ონლაინ სწავლებისათვის, რაზეც ექსპერტებმა განმარტეს, რომ დაწესებულებას ჰქონდა მხოლოდ სტუდენტთა შეფასებების ელექტრონული სისტემა. საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს, როგორ ახორციელებდა უნივერსიტეტი ზაფხულის სემესტრს, რომლის ფარგლებშიც დამატებითი 20 კრედიტის ათვისება შეეძლო სტუდენტს, ასევე ექსპერტების მიერ შემოწმდა თუ არა ამასთან დაკავშირებით რექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები. ამ საკითხზე დამატებით დაინტერესდა საბჭოს წევრი გიორგი აბრამიშვილი თუ რამდენი კრედიტის ათვისება შეეძლო სტუდენტს ერთი წლის განმავლობაში ზაფხულის სემესტრის გათვალისწინებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ზაფხულის სემესტრში სტუდენტებს შეეძლოთ დამატებით 20 კრედიტის ათვისება, მაგრამ არაუმეტეს წლიურად 75 კრედიტისა.

მე-6 სტანდარტთან მიმართებაში ექსპერტმა, ია მოსაშვილმა განმარტა, რომ ამ სტანდარტში სუსტ მხარედ ექსპერტებმა მიიჩნიეს კვლევების და ინტერნაციონალიზაციის ნაწილი. მართალია აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა კონფერენციებში, აქვეყნებდნენ სტატიებს, თუმცა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე. შესაბამისად მათი კვლევების ინტერნაციონალიზაცია არ ხდება. ინტერვიუების შედეგად ექსპერტებმა გაარკვიეს, რომ მხოლოდ ერთ პროფესორს ჰქონდა ციტირების ინდექსი, თუმცა ის არ იყო დაწესებულებასთან აფილირებული პირი. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეამოწმეს სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც ფორმალურად გამართული და კარგად შესრულებული იყო, თუმცა მისი შინაარსობრივი შემოწმება პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის არ არსებობის გამო შეუძლებელი იყო. დაწესებულებას ასევე არ ჰქონდა სამეცნიერო გრანტები, თუმცა ახორციელებდნენ დაწესებულების დაფინანსებით შიდა სამეცნიერო ერთ პროექტს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა განემარტათ, დაწესებულებას ჰქონდა თუ არა ნაკისრი ვალდებულება აფილირებული პერსონალისათვის კონფერენციებში მონაწილეობის ან/და სტატიის

გამოქვეყნების დაფინანსებისთვის. ექსპერტებმა განმარტეს, რომ მსგავსი ფინანსური მხარდაჭერის შესახებ შესაბამისი თანხები ასახული იყო დაწესებულების ბიუჯეტში. ინტერვიუების დროს ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ სტატიის გამოქვეყნების დაფინანსებაში დაწესებულება უწევდა მხარდაჭერას აკადემიური პერსონალს.

საბჭოს წევრი ქეთევან კოტეტიშვილი დაინტერესდა, რატომ იყო ასეთი მწირი რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომები და პროექტი. ამასთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად აწყობდა საერთაშორისო კონფერენციას, ასევე ადგილობრივ კონფერენციებს, 2018-19 წლებში დაწესებულება იყო 8 საერთაშორისო კონფერენციის თანაორგანიზატორი პარტნიორებთან ერთად, ასევე დაწესებულების დაფინანსებით გამოიცემოდა სახელმძღვანელოები, ასევე ეკონომიკური კვლევების ეროვნულ ინსტიტუტთან ერთად სასწავლო უნივერსიტეტი უშვებდა რეფერირებად, პრაქტიკულ ჟურნალს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰქონდა თუ არა კვლევების შეფასების მექანიზმი, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ ასეთი მექანიზმი მათ არ უნახავთ, თუმცა ინტერვიუების დროს აკადემიური პერსონალი განმარტავდა, რომ ადგილობრივ დონეზე ჩართულები იყვნენ სამეცნიერო კვლევებში, თუმცა სტუდენტება სიტყვა „კვლევების“ განმარტებაც კი არ იცოდნენ, რამაც დაარწმუნა ექსპერტები, რომ სტუდენტები კვლევით პროცესებში საერთოდ არ მონაწილეობდნენ.

საბჭოს წევრი, გიორგი გვალია, დაინტერესდა თუ რა ობიექტური ფაქტორებით იყო განაპირობებული დაწესებულების სამეცნიერო კვლევების სისუსტე, ადამიანური კაპიტალის თუ მატერიალური რესურსების უკმარისობის გამო და როგორ წარმოედგინა დაწესებულებას ამ სისუსტის დაძლევა ასეთი რესურსის არსებობის პირობებში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, სამეცნიერო კვლევითი მიმართულება მათი სუსტი მხარე იყო, თუმცა თვლიდნენ, რომ მეტი მონდომების შედეგად და არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით დაწესებულება მოახერხებდა ამ სუსტი გამოსწორებას.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა, დაწესებულებას ურჩია, რომ კვლევების გაძლიერებისთვის უმჯობესი იყო დაწესებულებას ადგილობრივ დონეზე გაეძლიერებია პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და მათთან მიმდინარე კვლევებზე დაკვირვება.

მეშვიდე სტანდარტზე ექსპერტმა, გიგა ხოსიტაშვილმა, გააკეთა მოკლე მიმოხილვა და განმარტა, რომ ამ სტანდარტში ძირითადი რეკომენდაციები შეეხებოდა საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებას, ასევე რეკომენდაცია ჰქონდათ ექსპერტებს სსსმ პირებისათვის ადაპტირებული საპირფარეოს მოწყობასთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, ბიბლიოთეკას არ ჰქონდა საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა, ასევე ბიბლიოთეკის თანამშრომლები ვერ ხედავდნენ მათ როლს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვასთან მიმართებაში. ბიბლიოთეკაში ინახებოდა აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული რიდერები, რომელზეც არ იყო მითითებული საიდან იყო ნათარგმნი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საავტორო უფლებების ხელყოფა. რაც შეეხება ფინანსურ

რესურს ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ კვლევებზე გამოყოფილი სახსრები არ იყო რელევანტური იმ შედეგების მისაღწევად, რაც დასახული ჰქონდა დაწესებულებას, ასევე მიაჩნდათ, რომ მცირე იყო პერსონალის წახალისებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური სახსრების მოცულობაც.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი, დაინტერესდა თუ რა იგულისხმებოდა ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში მითითებულ ჩანაწერში „საბუთების საფასური - 15 ლარი“, რისთვის იყო დადგენილი ეს საფასური. კანცლერმა განმარტა, რომ ეს იყო სტუდენტების მიერ მობილობის დროს შემოტანილი საბუთების დამუშავების, კრედიტების აღიარების და სხვა მსგავსი მომსახურებისათვის დადგენილი გადასახდელი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუკი სტუდენტს არ ჰქონდა საკმარისი თანხა რა ხდებოდა მაშინ. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუკი სტუდენტს ამის გამო შეექმნებოდა პრობლემა, ეს ცალსახად იქნებოდა სტუდენტის მობილობის უფლებების შეზღუდვა. დაწესებულების კანცლერმა განმარტა, რომ თუკი სტუდენტს მობილობის პროცესში ეს თანხა არ ჰქონდა მას აძლევდნენ დროს თანხის გადასხდელად.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ, კითხვით მიმართა კოლეგებს ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების წარმომადგენლების ან/და ექსპერტების მიმართებით. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციური მუშაობისთვის.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 19:45 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 19:55 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ჰქონდათ ხანგრძლივი დისკუსია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნა, რომ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას დააფუძნებდნენ, როგორც ექსპერტთა შეფასებას, ისე საჯარო განხილვის დროს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს და საავტორიზაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალებს.

საბჭომ დაადგინა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ანალიზის, დაწესებულების მიერ საავტორიზაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და საბჭოს ზეპირი განხილვის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებდნენ, რომ დაწესებულებას არ გააჩნდა პლაგიატის აღმომჩენი პროგრამა, ან სხვა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა დაწესებულებაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის კულტურის ჩამოყალიბებას და პლაგიატის პრევენციას. დაწესებულება მართალია გეგმავდა უახლოეს მომავალში ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარებას, თუმცა საბჭოს მიაჩნდა, რომ დაწესებულებას ექსპერტების ვიზიტიდან საბჭოს სხდომამდე საკმაოდ დიდი დრო ჰქონდა (ფაქტობრივად 3 თვე) იმისათვის, რომ ეს სუსტი მხარე გაეძლიერებინა. ასევე საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ მე-2 სტანდარტის ძირითად სუსტ მხარეს - „ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა“ თავად დაწესებულებაც იზიარებდა. ამდენად საბჭოს მიაჩნდა, რომ მე-2 სტანდარტის 2.3. კომპონენტი „ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა“ ნაცვლად მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან უნდა შეფასებულიყო, როგორც

ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან. შესაბამისად, მე-2 სტანდარტი შეფასების სკალის მიხედვით უნდა შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

ამასთან, საბჭომ შეიმუშავა ექსპერტთა დასკვნისგან დამოუკიდებელი დამატებითი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებისა და შესრულების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დაწესებულების საქმიანობას:

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა სტუდენტთა მობილობის პროცესში დაწესებული გადასახდელის გაუქმებით უნდა გააუმჯობესოს სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები;
2. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა დეტალურად უნდა გაწეროს ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
3. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა აკადემიური თანამდებობის (პროფესორის, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობის) დაკავების მიზნით გამოცხადებული კონკურსის ერთ-ერთ პირობად უნდა განსაზღვროს კონკურსანტების მიერ სამეცნიერო ხედვის, კონცეფციის წარმოდგენის ვალდებულება, რათა უზრუნველყოს დაწესებულებაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დაწესებულებას ნაწილობრივი შესაბამისობა უფიქსირდებოდა ორ სტანდარტთან (მე-2 და მე-6 სტანდარტები) მიმართებით, დაწესებულებას ავტორიზაცია მიენიჭებოდა მონიტორინგის განხორციელების დათქმით. ამასთან, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები იყო არსებითი მნიშვნელობის, საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილი იყო დაწესებულებას არ გაზრდოდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და დარჩენოდა იმდენი ადგილი, რაც განსაზღვრული ჰქონდა ავტორიზაციის საბჭოს წინა გადაწყვეტილებით.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56<sup>3</sup> მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 245433623) 6 წლის ვადით

მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 2 წლის ვადაში.

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized cursive letters, possibly reading 'Z. K. M.' or similar, with a horizontal line underneath.

2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უზღვევადობის მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ჯგუფს დაევალა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეიმუშავა დაწესებულებაში განსახორციელებელი ვიზიტების დღის წესრიგი, რომლის მიხედვით ვიზიტი დაწესებულებაში განახორციელდა 2018 წლის 10-11-12 დეკემბერს.

ექსპერტებმა საბჭოს წევრებს წარუდგინეს მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებლების გადამზადება შეფასების ინსტრუმენტების შექმნის მიმართულებით;
- სასურველია პროფესიული პროგრამების კატალოგს დაემატოს პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი;
- მიზანშეწონილია კატალოგიდან ამოღებულ იქნას ინფორმაციები საგნობრივი პროგრამების შესახებ, რამდენადაც მათი განხორციელება შეწყვეტილია;
- სასურველია კატალოგში გაჩნდეს ჩანაწერი სსსმ პროფესიული სტუდენტების სწავლების მიდგომების შესახებ;
- უნივერსიტეტის ვებგვერდიდან და პროფესიული პროგრამების კატალოგიდან ამოღებულ იქნას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაწესებულება წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ასოციაციის (IAMU) წევრს, რაც ამ ეტაპისთვის აღარ შეესაბამება სიმართლეს;
- სასურველია მისია უფრო ლაკონურად იქნას წარმოდგენილი და აქცენტი გაკეთდეს პროფესიულ განათლებაზე;
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სამოქმედო გეგმის უფრო დეტალურად გაწერასთან დაკავშირებით. კერძოდ: გადაიხედოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც არსებულ პუნქტებს სასურველია დაემატოს: განსახორციელებელი აქტივობების შესრულების ინდიკატორები, და საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელ დებულებაში საუბარია საგნობრივი პროგრამებზეც, რომელსაც დაწესებულება აღარ ახორციელებს. შესაბამისად ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დებულების ამ კუთხით გადახედვასთან დაკავშირებით;

- რამდენადაც დაწესებულებაში პროფესიული განათლებისთვის ცალკე დეპარტამენტი შექმნილი და შესაბამისად შემუშავებულია მარეგულირებელი დებულება, სასურველია მასში ცალკე პუნქტებად შევიდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესები;
- წარმოდგენილ პროგრამაში დასაქმების ერთ-ერთ შესაძლებლობად წარმოდგენილია გემზე ელექტრიკოსად მუშაობა სპეციალური კურსების გავლის შემდგომ, თუმცა ამ ეტაპზე კურსის პროგრამა შემუშავებული არ არის. შესაბამისად ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სტუდენტების მიღებამდე, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან ერთად, ან თავად, შეიმუშავონ ეს კურსი, ან იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპისთვის ეს ვერ ხერხდება, პროგრამიდან ამოიღონ ეს კონკრეტული ჩანაწერი.

რეკომენდაციების წარდგენის შემდეგ, ექსპერტებმა განმარტეს, რომ ჯგუფს არ დაუფიქსირებია შენიშვნები სტანდარტებთან მიმართებაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ხარვეზები არ გამოუვლენიათ, დაწესებულებას ჰქონდა განსაზღვრული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტები, მატერიალური ბაზა აბსოლუტურად შესაბამისობაში იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან, ექსპერტებმა ნახეს, როგორც თავად დაწესებულების საკუთრებაში არსებული, ასევე პრაქტიკის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პრაქტიკის ბაზები. საბოლოო ჯამში, ექსპერტთა განმარტებით, დაწესებულება აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ხედვა ჰქონდა დაწესებულებას პროფესიული განათლებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის შესახებ, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას პროფესიული განათლების ხედვა ასახული ჰქონდათ დაწესებულების მისიაში, ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმაში მითითებული იყო პროფესიული განათლების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნათია მიქელთაძის განმარტებით, დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას. მისი განცხადებით, რეკომენდაციათა უმეტესობა უნივერსიტეტის მხრიდან უკვე გათვალისწინებული იყო. რაც შეეხება დაწესებულების ხედვას პროფესიული განათლებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში პროფესიულ სწავლებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების შესახებ კანონის და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების ცვლილებამ იმოქმედა აღნიშნულ წარმოებაზე.

ექსპერტებმა ცენტრში დასკვნა წარადგინეს 3 იანვარს, ხოლო 2019 წლის 31 იანვარს ცენტრის დირექტორის ბრძანებით (N80/ი, N85/ი) განხორციელდა ცვლილებები "ელექტროობისა" და "საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო - დოკუმენტებში კანონის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შეიცვალა, აღნიშნული ეცნობა დაწესებულებას 4 თებერვალს და მიეცა რეკომენდაცია საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროგრამები შესაბამისობაში მოეყვანა ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო-დოკუმენტებთან, რათა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე მომხდარიყო განახლებული პროგრამების განხილვა და საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში ასახულიყო მისანიჭებელი კვალიფიკაციების განახლებული ფორმულირება. 13 თებერვალს დაწესებულებამ ცენტრში განმეორებით შემოიტანა

პროგრამების განახლებული პაკეტი, რომელიც უკვე სრულ შესაბამისობაში იყო ცენტრის დირექტორის N80/ი და N85/ი ბრძანებებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტებთან. შესაბამისად ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა დააყენა შუამდგომლობა დაწესებულების მომართვის საფუძველზე, რომ აღნიშნული ცვლილებები ასახულიყო გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 15

წინააღმდეგი- 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის 4<sup>1</sup> და მე-5 პუნქტების შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 245433623) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 20:35 საათზე.

თავმჯდომარე  
მარიამ დარბაიძე



მდივანი  
ნინო ხოლუაშვილი

